KazTransGas
TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№01-05-04/993

"23" 05 2016 წ.

შპს „იფქლი პირველის"
დირექტორს ბ-ნ მიხეილ კვესაძეს
მისამართი: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №22/24

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2016 წლის 10 მაისის №2172 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „იფქლი პირველის" დაკვეთით შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიერ მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გოძიაშვილის ქ. №22/24-ის მიმდებარედ არსებული გაზსადენის მიწისქვეშ გადალაგების სამუშაოებს.

ამ დროისთვის მხარეებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება პროექტით გათვალისწინებული სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების განხორციელების შესახებ და ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში მიმდინარეობს გაზსადენის გადალაგების სამუშაოებზე თანხმობის მიღების პროცედურა. სააგენტოს მიერ შესაბამისი თანხმობის გაცემის შემდეგ კომპანია მზად არის შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის"
სპეციალური მმართველი გია ბენაშვილი

შემს.: გიგა გიგაური
599879010

საქართველო,თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 237 64 93
ელ.ფოსტა: support@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი:https://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия,Тбилиси 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 237 64 93
Эл.почта: support@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: https://www.ktg-tbilisi.ge/

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 237 64 93
E-mail: support@ktg-tbilisi.ge
Website: https://www.ktg-tbilisi.ge/

007355

გადახდის ქვითარი № 0 გადახდის თარიღი: 10.05.2016

მიმღები: შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი" ს/კ 205129617

მიმღების ა/ა№GE18BG0000000821305500 ბანკის კოდი: BAGAGE22 სს ,,საქართველოს ბანკი"

გადამხდელი: შპს იფქლი პირველი

მისამართი: გოძიაშვილის ქ N22/24

დანიშნულება: სამონტაჟო სამუშაოების შესრულება

გადახდილი თანხა: 6413.72

ხელშეკრულება № 1238
სამუშაოების შესრულების შესახებ

ქ.თბილისი 10/05/2016 წელი

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი“ (შემდგომში - ,,შემსრულებელი“), მთავარი ინჟინერის გ.ლეფსვერიძის სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე, ერთის მხრივ,შპს იფქლი პირველი (შემდგომში - ,,დამკვეთი“), მიხელი კვესაძის (დირექტორი) მეორეს მხრივ, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარე“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს (გაზსადენის გადალაგება) ქ. თბილისში, გოძიაშვილის ქ N22/24 ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. სამუშაოების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6413.72 (მათშორის მშ ნებართვის 300 ლარი)ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. სამუშაოების ღირებულების კალკულაცია მოცემულია ხელშეკრულების №1 დანართში.

2.2 დამკვეთის მიერ სამუშაოების ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ამასთან, დამკვეთი ვალდებულია იმავე ვადაში შემსრულებელს წარუდგინოს ანგარიშსწორების განხორციელების დამადასტურებელი საბანკო საბუთი.

3. სამუშაოების განხორციელების ვადა და მისი მიღების წესი

3.1 სამუშაოები უნდა შესრულდეს დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის „2.2“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან და მშ.ნებართვის მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 სამუშაოები ჩაითვლება შესრულებულად მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან, რომლის ტიპობრივი ფორმა მოცემულია ხელშეკრულების №2 დანართში.

4. მხარეთა ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ხელშეკრულების მე-3 მუხლის „3.1“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პროცესში ჩართოს ნებისმიერი მესამე პირი; დამკვეთთან შეთანხმების გარეშე.

4.3 დამკვეთი ვალდებულია:

4.3.1 გადაიხადოს სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

4.3.2 მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვებისა/თანხმობების მიღება და მათი წარდგენა შემსრულებლისათვის.

4.4 დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

6. ფორს–მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.
6.2 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, აგრეთვე შეატყობინოს მას თავისი მოვალეობების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.
6.3 თუ ფორს–მაჟორული გარემოებები გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რის თაობაზედაც წინასწარ, სულ მცირე, 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.
6.4 ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის ---- და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
7.2 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია:
7.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
7.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში. ამასთან, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მხარემ მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე;
7.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.
7.3 თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო ან დამკვეთის მოთხოვნით (თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით), დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით.

8.2 ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამასთან, მხარეთა მიერ აღნიშნული დანართების გაფორმება (ხელმოწერა) შეიძლება არ დაემთხვეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს.

8.3 ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია მე-9 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.

8.4. ამ ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	დამკვეთი:
შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი“	შპს იფქლი პირველი
თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა	მის: გოძიაშვილის ქ N22/24
ს/კ 205129617, სს ,,საქართველოს ბანკი“	ს/კ404955198
ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE18BG0000000821305500	
გ.ლეფსვერიძე	მ.კვესაძე ტელ: 577501112